

გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტი

აპრილი 2018

ელიზაბეტ კლატცერი
elisabeth.klatzer@gmx.net

ევროკავშირი გენდერული თანასწორობის საკითხებზე
მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მხარდასაჭერად

დღევანდელი მიზანი

- ზოგადი წარმოდგენის შექმნა გენდერული ბიუჯეტირების შესახებ
- პროექტის საქმიანობის მიმოხილვა
- გენდერული ბიუჯეტირების საპილოტე ანალიზისთვის პროგრამების შერჩევა
- შემდეგი ნაბიჯების განსაზღვრა

პრეზენტაციის ზოგადი მიმოხილვა

- კონცეპტუალური საკითხები: რა არის გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტი
- გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის განხორციელების ძირითადი კომპონენტები
- პროექტის აქტივობების მიმოხილვა
- გენდერული ბიუჯეტის ანალიზის საფეხურები
- პროგრამების შერჩევის კრიტერიუმები
- გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტი ზოგადი ბიუჯეტირების პროცესში

GRB და პროგრამული ბიუჯეტი

ზოგადი სახელმძღვანელო
პრინციპები



გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტი

*გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტი არის
კარგი ბიუჯეტი (GRB)*


(ჯანეტ სტოცკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი)

სხვადასხვა გავლენა ...

მე არ ვანსხვავებ,
მე ყველას ერთნაირად ვექცევი!



გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტი ხელს უწყობს



გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის კომპონენტები

GRB

ანალიზი:
გენდერული
საკითხებისა და
პროგრამების
გავლენის
გააზრება

ცვლილებები
პროგრამებსა
და ბიუჯეტში

საბიუჯეტო
პროცესებში
გენდერული
ასპექტების
სისტემატური
ინტეგრირება

მთავრობის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება
გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის, გენდერული
თანასწორობისა და ქალთა უფლებების კუთხით

პროექტის დაგეგმილი სამუშაოები GRB კუთხით მომდევნო წლის განმავლობაში

გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის საბიუჯეტო
პროცესსა და პროგრამების ბიუჯეტირებაში
დანერგვის სტრატეგია

ბიუჯეტის ანალიზის საპილოტე
სამუშაოები

საუკეთესო
გამოცდილება

სამიწხე
სამინისტროებში და
ფინანსთა
სამინისტროში
საკონტაქტო პირების
ტრენინგი

ტრენერების
ტრენინგი

სამუშაო
ჯგუფების
ტრენინგი

გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტზე მუშაობის კომპონენტები

შესაძლებლობების განვითარება

- * სამიზნე სამინისტროების და ფინანსთა სამინისტროს საკონტაქტო პირების ტრენინგი
- * სამუშაო ჯგუფების ტრენინგი
- * საუკეთესო გამოცდილების გაზიარება
- * ტრენერების ტრენინგი

GRB ანალიზი

- * სამიზნე სამინისტროებში პროგრამების შერჩევა
- * გენდერული ბიუჯეტის ანალიზი
- * რეკომენდაციების შემუშავება
- * პროგრამების გაუმჯობესება

GRB სტრატეგია

- * გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის საბიუჯეტო პროცესსა და პროგრამების ბიუჯეტირებაში გათვალისწინების სტრატეგიის შემუშავება

GRB შედეგებზე ორიენტირებული პროგრამების ბიუჯეტში



გენდერული ბიუჯეტის ანალიზი, როგორც გენდერული პერსპექტივების ინტეგრაციის საფუძველი



GRB ანალიზი: მარტივი, ეტაპობრივი მიდგომა

1ეტაპი

- გენდერული საკითხების განსაზღვრა: სიტუაციის ანალიზი

2ეტაპი

- საბაზისო: ინფორმაციის შეგროვება

3ეტაპი

- გენდერული თანასწორობის ძირითადი მიზნების განსაზღვრა

4ეტაპი

- აქტივობების გენდერული ანალიზი

5ეტაპი

- შესაბამისი ბიუჯეტის ასიგნებების გენდერული ანალიზი

6ეტაპი

- მიზნებისა და რეკომენდაციების შემუშავება ბიუჯეტში, პროგრამებსა და პროექტებში თანასწორობის გასაუმჯობესებლად

საპილოტე ანალიზისთვის პროგრამების შერჩევის კრიტერიუმები

შეხსენება: საპილოტე ანალიზის ამოცანები :

- კომპეტენცია და ცოდნა
- გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება
- შედეგების, როგორც საუკეთესო პრაქტიკის და მტკიცებულებების გამოყენება შემდგომი მუშაობისათვის

რეკომენდირებული კრიტერიუმები პროგრამების შესარჩევად:


1. პროგრამა სამინისტროს ბიუჯეტის შესაბამისი წილით,
2. გენდერული თანასწორობის გაუმჯობესების პროგრამა
იხილეთ: საბიუჯეტო ოფისის გენდერული თანასწორობის ინდექსის შედეგები
3. სქესის მიხედვით სეგრეგირებული ინფორმაციის მინიმუმ, გარკვეული ნაწილის ხელმისაწვდომობა
4. დეპარტამენტების ხელმძღვანელების მხარდაჭერა

საბიუჯეტო პროცესი საქართველოში

გენდერულად
მგრძნობიარე
ბიუჯეტი
შეიძლება
ინტეგრირებული
იყოს მთლიან
საბიუჯეტო
პროცესში




Integrating GRB into the annual budget process



ავსტრიის მაგალითი ფედერალურ დონეზე:

ბიუჯეტის შესრულება გენდერული თანასწორობის შედეგებით, ბიუჯეტის სტრუქტურის სხვადასხვა დონეები



წყარო: ფინანსთა სამინისტრო

ავსტრია: ბიუჯეტის საერთო ეფექტურობა და მართვის ციკლი

1. **შუალედური ხარჯების ჩარჩო:**
სტრატეგიის შემსწავლელი ანგარიში მოიცავს გრძელვადიან პერსპექტიულ მიზნებს, მათ შორის გენდერული თანასწორობის მიზნებს თითოეული სამინისტროს მიხედვით
2. **წლიური ფედერალური ბიუჯეტი** შედეგების შეფასების მიხედვით (სასურველი შედეგის მისაღწევად განსაზღვრული პრიორიტეტები და მიღებული ზომები, ინდიკატორებით გაზომილი).
3. **კონტრაქტის შესრულება** ადმინისტრაციული ერთეულის სამოქმედო გეგმის შემუშავება ოთხი ფინანსური წლისთვის
5. **მართვა ამოცანების მიხედვით** თითოეული თანამშრომლის წვლილის განსაზღვრა შესაბამისი საჯარო დაწესებულების მიზნების მიღწევაში
6. შედეგების შეფასება
7. **გენდერული ასპექტების გათვალისწინება სასამართლოს აუდიტორთა ანგარიშებსა და აუდიტორული შემოწმების პროცესში**

ავსტრია: მაგალითები

ბიუჯეტის თავი	საჭირო სამუშაო მახასიათებლები	აქტივობები (ზომები)	ინდიკატორები
11 შინაგან საქმეთა	გაუმჯობესდა ძალადობისგან დაცვა, განსაკუთრებით ქალებისა და არასრულწლოვან თა მიმართ	– ეფექტური და სამიზნე ჯგუფებზე მიმართული ღონისძიებები ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის მიზენით – ეფექტური და სამიზნე ჯგუფებზე მიმართული ღონისძიებები არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის პრევენციის მიზენით	– წილი შემთხვევებისა, როდესაც მოძალადე, მიუხედავად აკრძალვისა, იმყოფება ბინაში – საწყისი ეტაპი: 4.6% (2016) – ძალადობრივი დანაშაულის რიცხვი პარტნიორებს შორის 100.000 მოსახლეზე – დანაშაულის გახსნის %; საწყისი ეტაპი: 83% (2016)

ავსტრია: მაგალითები

ბიუჯეტის თავი	საჭირო სამუშაო მახასიათებლები	აქტივობები (ზომები)	ინდიკატორები
22 პენსია	საკუთარი პენსიის უფლების მქონე ქალთა წილის გაზრდა	- ინფორმაცია გრძელვადიანი სამუშაოების უპირატესობის შესახებ - ნახევარ განაკვეთზე მუშაობის შეზღუდვა (დაკავშირებულია ბიუჯეტის სხვა თავებთან, როგორიცაა ბავშვის მოვლისა და სრულ განაკვეთიანი სკოლების უზრუნველყოფა)	- ქალები საკუთარი პენსიის უფლებით - საწყისი ეტაპი: 69.6% (2016) - მიზანი 2017: 70% - ქალები, რომლებიც იღებენ მინიმალურ პენსიას (სუბსიდია)

ავსტრია: მაგალითები

ბიუჯეტის თავი	საჭირო სამუშაო მახასიათებლები	აქტივობები (ზომები)	ინდიკატორები
16 საჯარო შემოსავლ ები	საგადასახადო სისტემის მეშვეობით ქალებისა და მამაკაცების მიერ ანაზღაურებად ი და აუნაზღაურებე ლი სამუშაოს უკეთესი განაწილების მხარდაჭერა	საგადასახადო სისტემაში დასაქმების ნეგატიური წახალისების შემცირება (მაგ. დაბალი საგადასახადო განაკვეთის შემცირება სრულად დასაქმების მიზნით)	გენდერული Pay Gap (სრული განაკვეთი, მთელი წელი) საწყისი 2014: 18% მიზანი 2017: 17.1% მიზანი 2018: 17.0% გენდერული Pay Gap (საათობრივი სარგო, ევროსტატი, კერძო სექტორი) საწყისი 2014: 22.19 % მიზანი 2017: 22.2 % მიზანი 2018: 22.1 % ქალების წილი ნახევარ განაკვეთზე დასაქმებულებში საწყისი: 82.2% მიზანი 2017: 82% მიზანი 2018: 79.8%

ავსტრია: მაგალითები

ბიუჯეტის თავი	საჭირო სამუშაო მახასიათებლები	აქტივობები (ზომები)	ინდიკატორები
21 სოციალუ რი დაცვა	შეზღუდული შესაძლებლობი ს მქონე ქალთა შანსების გაუმჯობესება რეგულარული დასაქმების მისაღწევად	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალების მხარდაჭერის ზომების მიმოხილვა	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე დასაქმებულ და დაუსაქმებელ ქალთა წილი საწყისი (2015): 1.6pp მიზანი 2017: 1.6pp მიზანი 2018: 1.5pp

გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტი ალბანეთში

- მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება N. 465/2012
“გენდერული მეინსტრიმინგი საშუალოვადიან საბიუჯეტო
პროგრამაში”.
- გენდერული თანასწორობის მიზნები გათვალისწინებულია
ფინანსთა სამინისტროს ბრძანებაში საშუალოვადიანი
საბიუჯეტო პროგრამის შესახებ
- ფინანსთა სამინისტრომ და Minister of LSAEO გამოუშვეს
საერთო ინსტრუქცია N. 21/2013, სადაც ხაზგასმულია
საბიუჯეტო პროცედურები, რომლებიც უნდა
გათვალისწინონ სამინისტროებმა საშუალოვადიანი
საბიუჯეტო პროგრამის მომზადების დროს
- პრაქტიკული სახელმძღვანელო, თუ როგორ უნდა
განხორციელდეს
- ტრეინინგი ITAP საჯარო ადმინისტრირების მეშვეობით
GRB- ზე

წყარო: გაეროს ქალთა
ორგანიზაცია

გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტი ალბანეთში (2)

- **საჯარო ფინანსების რეფორმის სტრატეგია (2014-2020)**

ითვალისწინებს გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტს როგორც მთავარ მიზანს ბიუჯეტის დაგეგმვასა და საშუალოვადიან საბიუჯეტო პროგრამაში, ხოლო ფინანსთა სამინისტროს ბრძანება საშუალოვადიანი საბიუჯეტო პროგრამის შესახებ მომზადებულ იქნა გენდერული თანასწორობის მოთხოვნებისა გათვალისწინებით და აერთიანებს სავალდებულო დებულებებს გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის ასიგნებების შესახებ

- 2016: გენდერული თანასწორობა როგორც ორგანული ბიუჯეტის კანონის ძირითადი პრინციპი

- 2016: გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტი, როგორც სავალდებულო მოთხოვნა ბიუჯეტის დაგეგმვისა და განხორციელების პრცესში

წყარო: გაეროს ქალთა
ორგანიზაცია

გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტი ალბანეთში (3)

- გადაწყვეტილების განხორციელების სახელმძღვანელოს შემუშავება: პროგრამის მენეჯმენტმა უნდა მოახდინოს:
 - i. კონკრეტული პროგრამების იდენტიფიცირება, სადაც გენდერული მიზნები შეიძლება იყოს ინტეგრირებული;
 - ii. **გენდერული უთანასწორობების განსაზღვრა** მონაცემებისა და ანალიზის საფუძველზე;
 - iii. **გენდერული თანასწორობის პრიორიტეტების განსაზღვრა** პროგრამული პოლიტიკის ანგარიშისთვის;
 - iv. **გენდერული თანასწორობის მიზნების განსაზღვრა** საშუალოვადიან პროგრამებში;
 - v. გენდერული მიზნების მისაღწევად **არსებული პროდუქტებისა და საქმიანობის შესწავლა და მოდიფიცირება**. აუცილებლობის შემთხვევაში, ახალი პროდუქციისა და საქმიანობის დადგენა
 - vi. პროგრამის პროდუქტებისა და საქმიანობისთვის **ხარჯების დაგეგმვა**;

სერბეთი: ფინანსთა სამინისტროს როლი გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის დანერგვაში საჯარო ფინანსების რეფორმაში

- სერბეთის მთავრობამ ფორმალურად წარადგინა გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტი ახალი საბიუჯეტო სისტემის შესახებ კანონის მიღებასთან ერთად 2015 წელს,
- ეტაპობრივი რეფორმა - სრულად იქნება ფანხორციელებული 2020 წლის ფისკალური პერიოდისთვის

საბიუჯეტო სისტემის კანონი - ბიუჯეტის მიზნები (მუხლი 4):

საბიუჯეტო სისტემამ უნდა შეძლოს:

4) საბიუჯეტო რესურსების ეფექტური განაწილება გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის განსაზღვრება, საბიუჯეტო სისტემის კანონი, მუხლი 2, 58v:

გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტი გულისხმობს საბიუჯეტო პროცესის გენდერულ მეინსტრიმინგს, მათ შორის ბიუჯეტის გენდერულ ანალიზს და შემოსავლისა და ხარჯების რესტრუქტურირებას გენდერული თანასწორობის გაზრდის მიზნით.

სერბეთი: ფინანსთა სამინისტროს როლი გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის დანერგვაში საჯარო ფინანსების რეფორმაში

- 2016: **გენდერული ბიუჯეტის ანალიზისა** და გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის ანგარიშის შესადგენად საჭირო მოთხოვნების წარდგენა
- გენდერული თანასწორობის კოორდინაციის ორგანომ, ფინანსთა სამინისტრო. და გაეროს ქალთა ორგანიზაციამ 2015 წელს დააარსეს გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის მხარდამჭერი ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის დაგეგმვაზე, განხორციელებაზე და მონიტორინგზე
- 2016 წელის საბიუჯეტო პროგრამა მოიცავდა გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტს
- გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის ინსტრუქციები
 - პროგრამის ფარგლებში მიზნებისა და / ან გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის ინდიკატორების დაზუსტება (წყარო: Aleksandra Branković Milica Seizović, assignment 1)

GRB ანალიზი: მარტივი, ეტაპობრივი მიდგომა

1ეტაპი

- გენდერული საკითხების განსაზღვრა: სიტუაციის ანალიზი

2ეტაპი

- საბაზისო: ინფორმაციის შეგროვება

3ეტაპი

- გენდერული თანასწორობის ძირითადი მიზნების განსაზღვრა

4ეტაპი

- აქტივობების გენდერული ანალიზი

5ეტაპი

- შესაბამისი ბიუჯეტის ასიგნებების გენდერული ანალიზი

6ეტაპი

- მიზნებისა და რეკომენდაციების შემუშავება ბიუჯეტში, პროგრამებსა და პროექტებში თანასწორობის გასაუმჯობესებლად

სიტუაციის ანალიზი

=> საწყისი ეტაპი: გენდერული თანასწორობის გამოწვევების განსაზღვრა

- სიტუაციის ანალიზი
 - გენდერული თვალსაზრისით ძირითადი პრობლემების განსაზღვრა
 - ქალთა და მამაკაცთა განსხვავებული მდგომარეობა
 - ძირითადი გენდერული საკითხები და უთანასწორობა
- განსხვავება პროგრამის არეალისა და მიზნობრივი ჯგუფის მიხედვით
- რაოდენობრივი და თვისობრივი ინფორმაციის საფუძველზე

სექტორის სიტუაციის ანალიზი

- ქალთა და მამაკაცთა განსხვავებული მდგომარეობა სამიზნე ჯგუფებში
- ძირითადი ზომები
 - ქალებისა და მამაკაცების მდგომარეობა, მათი საჭიროებები და მოთხოვნილებები; ანაზღაურებადი, ოფიციალური და არაფორმალური, აუნაზღაურებადი სამუშაო
 - აუნაზღაურებელი სამუშაოს / მზრუნველობის დონე და განაწილება
 - სოციო-ეკონომიკური სიტუაცია, შემოსავალი და ხელმისაწვდომი რესურსები
 - პიროვნული ხელშეუხებლობა და უსაფრთხოება
 - ძალადობის სხვადასხვა ფორმების საკუთარ თავზე გამოცდა
 - მობილობა (სატრანსპორტო საკითხები)
 - გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღება (პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ ცხოვრებაში)
 - გენდერული როლები, ნორმები და სტერეოტიპები

აქტივობების გენდერული ანალიზი - რა უნდა გაანალიზდეს?

- **მომხმარებლები, ბენეფიციარები და ხარჯების სიხშირე**
 - ფულადი გზავნილების მომხმარებლები / ბენეფიციარები
 - აპიტალური ხარჯები / ინვესტიციები - ვისთვის? წვდომა?
 - სერვისების / ინფრასტრუქტურის გამოყენების ბარიერები (არა მომხმარებლებისთვის)
- **სერვისების ხარისხი, ინფრასტრუქტურა ...**
 - რეაგირება შესაძლო განსხვავებულ (პრაქტიკულ და სტრატეგიულ) საჭიროებებზე
 - მომხმარებელთა კმაყოფილება....
- **მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში**
 - პროგრამები, სერვისები, ინვესტიციები
 - ხელმისაწვდომობის კრიტერიუმები, შერჩევის პროცესი
- **აქტივობების გავლენა** ქალებზე / მამაკაცებზე (შედეგები)
 - დასაქმება (ფორმალური, არაფორმალური), შემოსავალი,
 - საგანმანათლებლო მიღწევები, ჯანმრთელობის მდგომარეობა ...
 - ძალადობის გადატანა
 - აუნაზღაურებელი სამუშაოს მოცულობა და განაწილება
 - მობილობა და სხვა ასპექტები ...
 - როლები, ნორმები, სტერეოტიპები...

პროგრამის ანალიზი – შემდეგი ნაბიჯები

1. სიტუაციის ანალიზი

- ქალებისა და მამაკაცების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება (სამიზნე ჯგუფი)
- ცხრილის ფორმატში წარმოდგენა

2. პროგრამის შესახებ ინფორმაციის შეგროვება

- სამიზნე ჯგუფები, მიზნები, ინდიკატორები
- ბიუჯეტის ასიგნება
- შეთავაზებული სერვისები (არის თუ არა ინფორმაცია ხელმისაწვდომი სხვადასხვა სახის სერვისების ღირებულების შესახებ?)

3. ბენეფიციარებზე არსებული სქესის მიხედვით სეგრეგირებული ინფორმაციის განხილვა

შემდგომი სამუშაო გრაფიკი

- **ვორქშოფი 1 (დღეს)**

- სიტუაციის ანალიზი
- საბიუჯეტო პროგრამებზე ინფორმაციის შეგროვება
- პროგრამასთან დაკავშირებული საქმიანობის / მომსახურების ბენეფიციარების მონაცემების მიმოხილვა

- **ვორქშოფი 2: 30 აპრილი – 4 მაისი**

- სიტუაციის ანალიზის დასრულება
- ხელმისაწვდომი ინფორმაციისა და მონაცემების განხილვა
- აქტივობებისა და ბიუჯეტის ანალიზის სხვადასხვა ინსტრუმენტები
- დამატებით მონაცემების შესაძლო საჭიროება

- **ვორქშოფი 3: 5-7 ივნისი**

- გენდერული ბიუჯეტის ანალიზის დახვეწა

- **ვორქშოფი 4: 2 ივლისი – 6 ივლისი**

- რეკომენდაციების შემუშავება

შემდგომი სამუშაო გრაფიკი (2)

- სამუშაო გეგმა 2018 წლის მეორე ნახევრისთვის / 2019 წლის დასაწყისისთვის
 - გენდერული ბიუჯეტის ანალიზი შედეგების პრაქტიკაში გადმოტანა (მინიმუმ რამდენიმე მაინც)
 - გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის სტრატეგიის შემუშავება
 - ტრენერების ტრენინგი